გენდერული თანასწორობის საბჭო სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს. ცალსახად ვგმობთ რუსულ აგრესიასა და ძალადობას, რომელიც ჩვენი ასობით მეგობრის სიცოცხლეს სპობს. სამწუხაროდ, ომებსა და კრიზისებში უკვე არსებული უთანასწორობის დონე კიდევ უფრო იზრდება, რადგან ნადგურდება სოციალური ინსტიტუტები, ეს კი ქალებსა და გოგოებს კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს. კონფლიქტების შედეგად, ქალები და გოგოები სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის მიმართ უფრო დაუცველნი ხდებიან. ამიტომ, ჩვენ მშვიდობის იმედი გვაქვს.

-საბჭოს თავმჯდომარე,
ნინო წილოსანი

gender@parliament.ge

საინფორმაციო ბიულეტენი | თებერვალი

საბჭოს თავმჯდომარე ქალთა პენიტენციურ დაწესებულებას ეწვია

7 თებერვალს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილე თამარ ტყეშელაშვილთან ერთად N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებას ეწვია. ისინი გაეცნენ დაწესებულებაში მოქმედ სასწავლო პროგრამას, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა და გაესაუბრნენ მსჯავრდებულ ქალებს.

საბჭოს თავმჯდომარე ბრიტანელ კოლეგას შეხვდა

10 თებერვალს გაერთიანებულ სამეფოში ოფიციალური ვიზიტისას საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა თემთა პალატის ქალთა და თანასწორობის კომიტეტის თავმჯდომარე ქეროლაინ ნოუქსთან გამართა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივები და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლო მიმართულებები განიხილეს.

საბჭომ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის საკოორდინაციო შეხვედრა ჩაატარა

15 თებერვალს საბჭომ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის საკოორდინაციო შეხვედრა გამართა და დონორ ორგანიზაციებს ადგილობრივ გენდერულ საბჭოებთან კოორდინაციის 2022 წლის გეგმის განახლებული ვერსია გააცნო. აღნიშნული გეგმის საფუძველზე დაიგეგმა ვიზიტები საქართველოს რეგიონებში.

საბჭო საქართველოს ქალთა საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა

21 თებერვალს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან ონლაინ შეხვედრა გამართა, რომელზეც მხარეებმა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები განიხილეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალთა საბჭო 2019 წლიდან შესულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო რეესტრში სტატუსით-,,საზოგადოებრივი გამოცდილებით.

საბჭო უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციას გამოეხმაურა

26 თებერვალს, საბჭომ ოფიციალურ Facebook გვერდზე გაავრცელა განცხადება, რომელშიც დაგმო რუსეთის სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში, სოლიდარობა გამოუცხადა მეგობარ უკრაინელ ხალხს და აღნიშნა, რომ სამხედრო აგრესია ყოველთვის განსაკუთრებული სისატიკით აისახება ქალების, ბავშვების, მოხუცებისა და საზოგადოების სხვა, ისედაც მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობაზე.

საინფორმაციო ბიულეტენი | მარტი

საბჭოს თავმჯდომარე და წევრები Women in Tech-ის პრეზიდენტს შეხვდენენ

3 მარტს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი და საბჭოს წევრები, მარიამ ლაშხი და ხათუნა კვიციანი Women in Tech-ის დამფუძნებელსა და პრეზიდენტს, აიუმი მურ აოკის შეხვდნენ. შეხვედრაზე აქცენტი STEM დისციპლინებში ქალთა გაძლიერებაზე გაკეთდა.

საბჭო USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლებს შეხვდა

16 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭო ტექნოლოგიებში ქალების ჩართულობისთვის USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლებს შეხვდა.
მხარეებმა მიმოიხილეს თანამშრომლობის სამომავლო ასპექტები, მათ შორის პრიორიტეტად გამოკვეთეს ქალთა ექონომიკური გაძლიერება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა ტექნოლოგიების მიმართულებით.

ნინო წილოსანი გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელს შეხვდა

16 მარტს, საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელს, კაორი იშიკავას შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე და საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესახებ ისაუბრეს.

საბჭომ განაახლა მნიშვნელოვანი ანგარიში გენდერული თანასწორობის შესახებ

21 მარტს ,,გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები'' განახლებული გამოცემის მიგნებების პრეზენტაცია გაიმართა. კვლევა მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი საპასუხო რეკომენდაციების გაზიარებას.

საბჭომ დანიის გენდერული თანასწორობის ცენტრის პროგრამის „KVINFO"-ს წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა

31 მარტს, საბჭო დანიის გენდერული თანასწორობის ცენტრის პროგრამის „KVINFO"-ს წარმომადგენლებს შეხვდა. გენდერული თანასწორობის საბჭოს მსგავსად ორგანიზაციის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს სექსუალური ძალადობისა და გენდერული სტერეოტიპების პრობლემებზე მუშაობა წარმოადგენს. დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, აღნიშნული პროგრამა განახორციელებს გენდერული საკითხების კოორდინაციას საქართველოსა და უკრაინაში.

საინფორმაციო ბიულეტენი | მარტი

საბჭომ ადგილობრივ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან შეხვედრები ჩაატარა

22 მარტს კახეთში, ხოლო **24-25 მარტს** სამეგრელოსა და აჭარაში საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს საბჭოს 2022-2024 სამოქმედო გეგმა გააცნო და მათ შეკითხვებს უპასუხა. ბათუმსა და ზუგდიდში, გაეროს განვითარების პროგრამისა და საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის(NALAG) წარმომადგენელიც შეხვდა. სამივე რეგიონში შეხვედრებზე მუნიციპალიტეტებმა დამსწრეებს წარმატებული გამოცდილება გაუზიარეს.

თემატური მომხსენებლის მარიამ ლაშხის ხელმძღვანელობით ჩატარდა ზეპირი მოსმენები

თებერვალი-მარტის პერიოდში საბჭოს წევრისა და თემატური მოკვლევის, ,,გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში'' მთავარი მომხსენებლის, მარიამ ლაშხის ხელმძღვანელობით ონლაინ რეჟიმში 3 ზეპირი მოსმენა ჩატარდა, როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების მონაწილეობით.

გენდერული თანასწორობის საბჭოების თანამშრომლობის პლატფორმა შექმნილია

გენდერული თანასწორობის საბჭომ ცენტრალური და ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების კომუნიკაციისა და კოორდინაციისათვის ონლაინ პლატფორმა შექმნა. პლატფორმაზე მოხდება მნიშვნელოვანი თარიღებისა და დაგეგმილი აქტივობების განხილვა. ჯგუფი არის ინტერპარტიული შემადგენლობის და მასში დონორებთან ერთად მონაწილეობენ საბჭოების წევრები, არჩევნების შემდგომ განახლებული შემადგენლობების მიხედვით.